MES 6 21 0000791317

13/08/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 30.07.2021
სხდომის დაწყების დრო: 14:05 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:10სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათიაზედგინიძე-ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ნინო იმნაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. მარიამ შენგელია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. ანა ფირცხალაშვილი - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;
5. გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;

6. ნინო ჭალაგანიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
7. გაიოზ ფარცხალაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
8. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
9. ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
10. გიორგი ღაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
11. დავით კაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
12. დიანა მჭედლიშვილი - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
13. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
14. თამარ ჩხეიძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
15. თეონა მატარაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
16. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლაშა მარგიშვილი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	თორნიკე ბექაქური	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
4	ლაშა მაჭარაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
5	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
6	ანი ბილანიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ნანა გულუა	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	I
2	ინგა გაბისონია		ასოცირებული პროფესორი	I
3	ნესტან კეკელია		ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი	I
4	მარინა ზარქუა		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი	I
5	რომეო გალდავა		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი	I
6	მანანა ორჯონიკიძე	შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	II
7	მარინე შავლაყაძე		პროგრამის თანახელმძღვანელი	II
8	ნიკა დუდაშვილი		იურიდიული სამსახური უფროსი	II
9	ნატალია ბარათელი	შპს - უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმი	რექტორის მოვალეობის შემსრულებელი	III
10	გოჩა თოდუა		ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	III
11	ზვიად მურადაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
12	დევი ხვედელიანი		პროგრამის ხელმძღვანელი	III
13	დარეჯან ლეკიაშვილი		პროფესორი	III
14	ქეთევან ვაშაკიძე		მოწვეული პროფესორი	III

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ	საკითხი
1	ია მოსაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	მაქსიმ იავიჩი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ნინო პატარაია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ნინო ტალიკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ნატალია ალავიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	დარეჯან ღუღუნიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ნინო ბოგვერაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
8	მაკა კარტოზია	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	თათია უბერი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	ილია წიკლაური	(ჩაერთო „ზუმით“)	III

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:05 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით, განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს - უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით, განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს - უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 27 ნოემბრის N728 გადაწყვეტილება
5		

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	კომპიუტერული ტექნოლოგიები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმატიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ.თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას N26
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვთაცილება განაცხადა - მაკა კაჭარავამ
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ია მოსაშვილი, მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს, მან განაცხადა, რომ სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ტექნოლოგიები“ შეფასება განხორცილდა დისტანციურ რეჟიმში. აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა ჰიბრიდული ფორმატით 2021 წლის 18-19 ივნისს, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება მოხდა პირისპირ, 19 ივნისს, რა დროსაც ასევე გადამოწმდა ბიბლიოთეკის

რესურსები. შეხვედრები გაიმართა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. მან განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფი აცნობიერებს უნივერსიტეტის როლს ქვეყანაში, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მის მიერ განხორციელებული პროგრამები, გარკვეულწილად პრიორიტეტულია, რომ ასეთი თანამედროვე პროგრამები ხორციელდება უნივერსიტეტში. განსახილველი საბაკალავრო პროგრამა აკრედიტებულია 2012 წელს და მას შემდეგ ხორციელდება, მან განიცადა გარკვეული სახის მოდიფიკაციები და მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტმა გადაწყვიტა მისი რეაკრედიტაციაზე გატანა მთელი რიგი ცვლილებები განხორციელდა, რომელთა შესახებაც უნდა აღინიშნოს, რადგან დარგი არის ძალიან მზარდი, სწრაფად ცვალებადი და აუცილებელი იყო გარკვეული საგნების ჩანაცვლება, ან სილაბუსების თემატიკების ცვლილება, რაც უნივერსიტეტმა გააკეთა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში და ექსპერტთა ჯგუფისგან დაიმსახურეს დადებითი შეფასება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

პირველი რეკომენდაციის მიხედვით, დეტალურად უნდა გაიწეროს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების კრიტერიუმები, ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნულია, რომ არსებობს ეს დოკუმენტაცია, მისი თქმით დოკუმენტი ნამდვილად არსებობს, თუმცა ის არის ზოგადი ხასიათის და ამ ზოგადი დოკუმენტის მიხედვით უბრალოდ ვინმე მონიშნავს, რომ პროგრამის სტრუქტურა სწორად არის შედგენილი, მათ აღნიშნულ დოკუმენტში ვერ დაინახეს ნოკრეტული პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, ამიტომ გაიწერა რეკომენდაცია, რომ იყოს კონკრეტული პროგრამისთვის უნდა ხდებოდეს პროგრამის სტრუქტურის შეფასება.
შემდეგი რეკომენდაცია - სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის შედეგად განხორციელებული ცვლილებების ანგარიში იქნას წარმოდგენილი, მისი თქმით ფაწესებულებაში ხდება სწაავლის შედეგების შეფასება, არსებობს დოკუმენტი, რომელშიც შედეგები შეფასებულია, თუმცა წარმოდგენილი უნდა იყოს ანალიზი, რომელიც ამ შედეგების შეფასების შედეგად გაკეთდა უნდა ჩანდეს შემდეგ რა ხდება და როგორია რეაგირება.
რეკომენდაცია - დაიხვეწოს სილაბუსები, სადაც გასაკეთებელია ტექნიკური და შინაარსობრივი ცვლილებები: ვებ დიზაინი, დაპროგრამების ენები 2, დისკრეტული სტრუქტურები - სადაც იყო, როგორც ტექნიკური, ისე შინაარსობრივი შეცდომები, რაც უნდა გასწორდეს;
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით არის რიგი რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ გაიზიარა განახორციელა ცვლილებები, მას შემდეგ, რაც ექსპერტთა ჯგუფმა დაწერა დასკვნა, თუმცა მათ არ შეეძლოთ ცვლილებების გათვალისწინება, თუმცა გარკვეულწილად რისი გაზიარებაც შეეძლოთ ის გაითვალისწინეს, მიუხედავად იმისა, რომ ნახეს დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია ვერ შეძლეს მისი ასახვა დასკვნაში.
რეკომენდაცია - დაპროგრამების ენების სილაბუსების სათაურები მოვიდეს შესაბამისობაში შინაარსთან, ექსპერტის თქმით, მონაცემთა დამუშავების სტატისტიკური მეთოდები კვლავ ალბათობის თეორიაა, ამიტომ უნდა მოხდეს ამ სილაბუსის თემატიკების გადახედვა, მოხდეს სილაბუსების გადამოწმება და მათში არსებული მოძველებული ლიტერატურის ცვლილებაზე რეკომენდაციის გაცემა, ძირითად საგნებში დაემატოს კიბერუსაფრთხოების საბაზისო კურსი, ასევე პროგრამას დაემატოს პრაქტიკა, როგორც სავალდებულო სასწავლო კურსი, საბაკალავრო ნაშრომებში ტექსტში დაემატოს ლიტერატურის წყაროები, როგორც ექსპერტმა აღნიშნა, საბაკალავრო ნაშრომები გამოითხოვეს შემთხვევითობის პრინციპით და მთელი გამოცდილების საფუძველზე, მათი გადახედვის შედეგად ექსპერტთა ჯგუფი აღფრთოვანდა, რადგან ყველა ნაშრომში დაცული იყო სტრუქტურა, სტილი, თემატიკა იყო ძალიან

აქტუალური, დარგის სპეციალისტების დასკვნით ნაშრომები კარგად იყო შესრულებული. ზემოაღნიშნულიდან გამოდინარე გაჩნდა შემდეგი ორი რეკომენდაცია: ა) საბაკალავრო ნაშრომებში, ტექსტში უნდა დაემატოს ლიტერატურის წყაროები; ბ) საბაკალავრო თემების არჩევა მოხდეს უნივერსიტეტის მიერ წინასწარ დადგენილი წესით.
რეკომენდაციასთან - სწავლების მეთოდები იყოს სასწავლო კურსის შესაბამისი, ექსპეტმა აღნიშნა, რომ ყველა სილაბუსს მოყვება სწავლის მეთოდები, თუმცა უმჯობესი იქნება, რომ ამას არ ჰქონდეს სტანდარტული ფორმა და თითოეული კურსისთვის კარგად შეთავსებული სწავლის მეთოდები იყოს შერჩეული;
ექსპერტმა ჩამოთვალა დანარჩენი რეომენდაციები:
o რეკომენდირებულია, დაიხვეწოს შეფასების სისტემა, კერძოდ, გამრავალფეროვნდეს შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების კომპონენტები, რომლებიც ორიენტირებული იქნება მეტწილ პრაქტიკულ მხარეზე და თეორიის პრაქტიკულ გამოყენებაზე;
o რეკომენდირებულია, გასწორდეს ტექნიკური და შინაარსობრივი უზუსტობები, რომლებსაც ვხვდებით ცალკეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტებში. კერძოდ, ეს სასწავლო კურსებია, „დაპროგრამება Visual Studio-ში“, „კომპიუტერული მოდელირების ტექნოლოგიები“, „ოპეტაციული სისტემა Linux, სისტემური ადმინისტრირება“;
o რეკომენდირებულია, გაუმჯობესდეს პერსონალის და სტუდენტების ინფორმირებულობა პროგრამაზე, რომელიც პლაგიატზე ნაშრომების შემოწმების შესაძლებლობას იძლევა;
o რეკომენდირებულია, კარიერული სამსახურის გააქტიურება სტუნდეტთა დასაქმების მიზნით; კერძოდ, ადმინისტრაციის მხრიდან გააქტიურდეს შეხვედრა/სემინარების ორგანიზება პოტენციურ დამსაქმებლებთან სტუდენტების ჩართულობით; ასევე, ინფორმაციის მიწოდება სტუდენებისთვის კარიერული სამსახურის ცენტრის ფუნქციონირების შესახებ.

14:15 საათზე საბჭოს შემოუერთდა გიორგი ღაღანიძე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, განაცხადა, რომ მიუხედავად ზემოაღნიშნული რეკომენდაციისა დამსაქმებლები ნამდვილად აქტიურად იყვნენ ჩართულნი პროგრამის შემუშავების პროცესში, მათთან შეხვედრებზე გამოიკვეთა, რომ ისინი სრულად იცნობდნენ პროგრამას და საუბრობდნენ ისეთ დეტალებზე, რომლების აშკარად მიუთითებდა მათ ჩართულობაზე.
o რეკომენდირებულია, დაწესებულებამ/ფაკულტეტმა პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოს ან/და ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო კონფერენციებში;
o რეკომენდირებულია, კურსდამთავრებულთა ბაზის აქტიური ამოქმედება შესაბამისი ღონისძიებების მოწყობით (თუნდაც, დამსაქმებელთა მოთხოვნების მიხედვით კურსდამთავრებულთა პორთფოლიოების შექმნა); ასევე, მისი ინტეგრირება პოტენციურ დამსაქმებელთა ბაზასთან, მათ შორის ორმხრივი და უწყვეტი კავშირის უზრუნველსაყოფად. ეს ყოველივე ხელს შეუწყობს ინფორმაციის დროულ და სწრაფ მიმოსვლას ორივე მხარეს შორის. შესაძლებელია, დაიგეგმოს შესაბამისი დამხმარე ღონისძიებებიც.
o ბიბლიოთეკაში განთავსდეს სილაბუსებით განსაზღვრული ყველა სავალდებულო ლიტერატურა, თუ სასწავლო მასალა. როგორც ექსპერტმა აღნიშნა, ვიზიტის დროს მათ ჰქონდათ ორი შემთხვევა, როცა ბიბლიოთეკაში ვერ ნახეს სილაბუსში მითითებული მასალა, თუმცა შემდეგ იგივე მასალა განთავსებული იყო ელექტრონულ პორტალზე და ხელმისაწვდომი იყო სტუდენტებისთვის.
o სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმების წარმართვა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების კუთხითაც უნდა განხორციელდეს;

ი გამოყენებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა. რეკომენდირებულია, პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის შედარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, რომეო გალდავა, მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს გაწეული სამუშაოსათვის და დადებითი შეფასებისთვის, რომელიც გამოითქვა სხდომის განმავლობაში. როგორც მან აღნიშნა, პროგრამას თან ერთვის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, სადაც დეტალურადაა გაწერილი ყველა სასწავლო კურსის შეფასების პირდაპირი მექანიზმი, სამიზნე ნიშნულები, შეფასების პერიოდი, პასუხისმგებელი სამსახური, სწავლის შედეგების შეფასების სქემა, რომელთა ანალიზის საფუძველზეც, საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება გარკვეული ცვლილებები, როგორც წარმოდგენილ პროგრამაში, ასევე კურიკულუმის რუკაში.
შემდეგი რეკომენდაციების შესახებ, რომლებიც ეხებოდა დამსაქმებლებს, საერთაშორისო ურთიერთობებსა და სხვა, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ როგორც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, უნივერსიტეტში ფუნქციონირებენ სპეციალური სამსახურები, ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები, თუმცა ამ მიმართულებით გაგრძელდება აქტიური მუშაობა და გათვალისწინებული იქნება გარკვეული მოსაზრებები. მისი თქმით აღნიშნულ რეკომენდაციას უფრო რჩევის ხასიათი აქვს.
სასწავლო კურსთან „მონაცემთა დამუშავების სტატისტიკური მეთოდები“ დაკავშირებულ რეკომენდაციის შესახებ დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული სასწავლო კურსი არ არის მხოლოდ ალბათობის თეორია, რასაც ადასტურებს სილაბუსის შინაარსი. ის შეიცავს ალბათობის თეორიის ძირითად საკითხებს, რის გარეშეც შეუძლებელია სტატისტიკური მეთოდების შესწავლა და გამოყენება, მისთვის გაუგებარია სტატისტიკის შესწავლა, დასკვნების დადება და შემდგომ ინტერვალების შეფასება როგორ არის შესაძლებელი ალბათობის გარეშე, ბუნებრივია, რომ გარკვეული ნაწილი ალბათობას ემთხვევა და აღნიშნული საგანი დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით არ არის ალბათობის თეორია, შესაბამისად არ დაეთანხმნენ აღნიშნულ რეკომენდაციას, რადგან ნაწილი არის ალბათობა, მაგრამ შემდეგ გადადის შეფასებებში, მის გარეშე ვერც კორელაციას დაითვლიან და ვერც შეაფასებენ.
საბაკალავრო ნაშრომებთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტებს, თუმცა მისი თქმით, ის რომ რომელიმე ნაშრომში არ იყო მითითებული წყარო, ეს ფაქტი აისახა ნაშრომის შეფასებაში და მისი აზრით ამ მიმართულებით რეკომენდაციის არსებობა არ არის რელევანტური. ასევე, მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს საბაკალავრო ნაშრომების დადებითი შეფასებისთვის. საბაკალავრო ნაშრომის თემების შერჩევის შესახებ მან განმარტა, რომ არსებობს დოკუმენტი, სადაც გაწერილია, თუ როგორ ხდება თემის დამტკიცება, შესაძლებელია რაღაც მომენტში, პანდემიის გამო, თარიღები აცდა ერთმანეთს. მისი თქმით, რადგან ექსპერტმა აღნიშნა, რომ საბაკალავრო ნაშრომები კარგია, შესაბამისად ამ მიმართულებით რეკომენდაციას უფრო რჩევის სახე აქვს.
დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამის ხელმძღვანელმა, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამუშაოსათვის. მან განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა იგრძნეს სწავლების ხარისხის ამაღლებაზე, განვითარებაზე ორიენტირებული დამოკიდებულება ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან. მისთვის სასიამოვნოა, რომ დანახულია მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და შესაბამისობა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

სილაბუსებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სილაბუსებში იყო მცირე შინაარსობრივი და ტექნიკური რეკომენდაციები, რომლებიც გათვალისწინებულია, ზოგან 2 საათი ეწერა 1-ის ნაცვლად და გასწორდა, შეფასებების კრიტერიუმში იყო ქულა დაკლებული და ესეც გასწორდა, აღნიშნული რეკომენდაციებისა და შემდგომში ჩაშლილი, დაკონკრეტებული სილაბუსების შესახებ რეკომენდაციების გაერთიანება იყო შესაძლებელი და აღნიშნული ტექნიკური ხარვეზები გასწორებულია. რაც შეეხება ექსპერტთა ჯგუფის დამოკიდებულებას დაპროგრამების ენების სათაურებთან დაკავშირებით, დაპროგრამების ენები (1, 2, 3) ქრონოლოგიურად შეისწავლის C/C++ დაპროგრამების ენის საკითხებს, რაც დასტურდება მათი შინაარსით. აღნიშნული სათაურები განზოგადებულად აქვთ წარმოდგენილი, რადგან შემდგომში შესაძლებელი გახდეს საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანა, ვინაიდან სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ცვლილებები დაპროგრამებაში და ახალი ენები უფრო პრიორიტეტული ხდება. მისი თქმით, პროგრამა 2012 წლიდან მუშაობს და მას აქვს ამის გამოცდილება, როგორც მან აღნიშნა, პროგრამის წინა აკრედიტაციის ვიზიტზე ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების საფუძველზე მოხდა განზოგადება. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის პოზიციასაც აქვს თავისი გამართლება, თუმცა დაწესებულების აზრით აღნიშნული სახელწოდება შესაბამისობაშია შინაარსთან, შესაბამისად აღნიშნული რეკომენდაციები უფრო რჩევითი ხასიათისაა.

კიბერუსაფრთხოების საბაზისო კურსის დამატების შესახებ მან განმარტა, რომ უსაფრთხოების რიგი საკითხები განხილულია სხვადასხვა სასწავლო კურსებში. თუმცა, რეკომენდაცია გათვალისწინებულია და აქტუალურობიდან გამომდინარე სასწავლო კურსი „ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კრიპტოგრაფიის საწყისები“ არჩევითი კურსებიდან გადატანილ იქნა სავალდებულო კურსებში, ისე რომ არაფერი დარღვეულა.

შეფასების კრიტერიუმების შესახებ მან განაცხადა, რომ აღნიშნული მიმართულებით მიმდინარეობს მუდმივი მუშაობა და პერმანენტული განახლების პროცესი სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწესებულებას მიაჩნია რომ აღნიშნული რეკომენდაციები უფრო რჩევითი ხასიათისაა.

პრაქტიკასთან დაკავშირებული რეკომენდაციის შესახებ დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე პროგრამა არ ითვალისწინებს არცერთი სახის პრაქტიკის ჩატარებას, რადგან საბაკალავრო დონეზე საკმარისად მიაჩნიათ სპეციალობის სავალდებულო კურსებში ლაბორატორიული მეცადინეობების რაოდენობა, სადაც ძირითადად სწორედ პრაქტიკული ხასიათის დავალებები და პროექტებია შესასრულებელი, ამასთანავე საბაკალავრო ნაშრომში სტუდენტებს მოეთხოვებათ პრაქტიკული პროექტის შესრულება, მათ შორის უნივერსიტეტის კომპიუტერული ინოვაციებისა და ელექტრონული სერვისების მართვის ცენტრის მხარდაჭერით, რაც პოზიტიურად მოქმედებს სასწავლო პროცესზე. ამ ცენტრის ერთ-ერთი დანიშნულება არის საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომების შესრულების მხარდაჭერა, გარდა ამისა სილაბუსებში არის 1 საათი ლექცია, 1 საათი პრაქტიკა და 2 ლაბორატორიული, სადაც სულ პრაქტიკაა, კონკრეტული დავალების შესრულება, მუშაობაც კი მომდინარეობს არა მ ს ხ ვ ი ლ ჯ გ უ ფ ე ბ თ ა ნ , ა რ ა მ ე დ 10-15 სტუდენტიან ჯგუფთან, უნივერსიტეტი კი ამ ყველაფერს ხარისხზე ორიენტირებულად აკეთებს. შესაბამისად, მისი მოსაზრებით შესაძლებელია აღნიშნული რეკომენდაციის რჩევებში გადატანა.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ელექტრონული პორტალი - stablab-ი, იძლევა კონსულტაციების განთავსების საშუალებას, ის უზრუნველყოფს, რომ ინდივიდუალურად, ყველა სტუდენტს მიუვიდეს ინფორმაცია, რაც ნახეს ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დროს და მოეწონათ. თუმცა, ვებ გვერდზე საკონსულტაციო განრიგის განთავსება არ წარმოადგენს პრობლემას, მისი თქმით, როდესაც ხდებოდა სააუდიტორიო მეცადინეობები საკონსულტაციო საათების შესახებ ინფორმაცია გამოფენილი იყო ცხრილების სახით.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პროგრამის შემუშავების პერიოდში პირველ რიგში განხილულ იქნა ACM Curriculum-ის რეკომენდაციები და შემდგომ უცხოური

უნივერსიტეტების ანალოგიური პროგრამები, რაც გაგრძელდება შემდგომშიც, პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. როგორც მან აღნიშნა, პროგრამის მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილების გათვალისწინებით, აღნიშნულმა მიდგომამ გაამართლა. მუშაობა ამ მიმართულებით გაგრძელდება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, ნინო ჭალაღანიძე, მიესალმა სხდომაზე დამსწრე პირებს, მან განაცხადა, რომ დამატებით დოკუმენტაციაში შეისწავლა ბაზრის კვლევა, სადაც შესწავლილია 12 რესპოდენტი, რომელთაგან უმრავლესობა (9 ადამიანი) კურსდამთავრებულები არიან და მხოლოდ სამია დამსაქმებელი, როდესაც ექსპერტები საუბრობდნენ აღნიშნეს, რომ პროგრამას ემჩნევა მჭიდრო კავშირი დამსაქმებლებთან, საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რატომ შემოიფარგლა დაწესებულება მხოლოდ 3 დამსაქმებლით და ფიქრობენ თუ არა, რომ ეს საკმარისია მათი შემდგომი მუშაობის სწორად დაგეგმისთვის. ასევე ის დაინტერესდა გარე და შიდა შეფასების შესახებ, რომელთაგან არცერთი არ არის უცხოეთიდან და იკითხა ხომ არ ფიქრობდნენ, რომ განვითარებად დარგს წაადგებოდა ამგვარი დოკუმენტის არსებობა და გამოცდილების გაზიარება. მან ვერ მიაგნო „ბენჩმარკინგის“ დოკუმენტს უცხოური გამოცდილების გაზიარებისთვის მისი მოსაზრებით ეს ყველაფერი საინტერესო იქნებოდა დაწესებულებისთვის.
საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი, მიესალმა სხდომაზე დამსწრე პირებს, ბიბლიოთეკაში არ არსებულ ლიტერატურასთან დაკავშირებით, რომელიც ლექტორებს უდევთ პორტალზე მან განაცხადა, რომ, მისი მოსაზრებით საუბარია ელექტრონულ რესურსებზე და დაინტერესდა, თუ როგორ წარმოუდგენია ექსპერტთა ჯგუფს მათი განთავსება ბიბლიოთეკაში. ასევე ექსპერტთა ჯგუფმა დადებითად შეაფასეს საბაკალავრო ნაშრომები, თუმცა გაცემულია რეკომენდაცია - ტექსტში ლიტერატურის ასახვასთან დაკავშირებით, მისი თქმით ნაშრომის გაფორმებს დროს ციტირება ერთ-ერთი აუცილებელი საკითხია, შესაბამისად, მისი თქმით, თუ ეს იყო სარეკომენდაციო, მისთვის გაუგებარია თუ როგორ იქნა საბაკალავრო ნაშრომები დადებითად შეფასებული. საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა, თუ რატომ არ მოხვდა კიბერუსაფრთხოება ძირითად სასწავლო კურსებში, რადგან პროგრამა თუ განახლდა, დღესდღეობით IT სპეციალისტების ერთ-ერთი გამოწვევაა კიბერუსაფრთხოების სწავლება/დასაქმებაში, მან იკითხა იყო თუ არა ეს საკითხი გაფანტული სხვადასხვა სასწავლო კურსებში. ასევე ის დაინტერესდა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ირჩევენ სტუდენტები ნაშრომის ხელმძღვანელსა და თემას.
საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე, მიესალმა სხდომაზე დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ მისთვის საინტერესო ერთი კითხვა საბჭოს წევრმა უკვე დასვა შრომის ბაზართან დაკავშირებით. ასევე, მან ბიუჯეტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ეს არის ბიუჯეტი რომლიდანაც არ არის ნათელი პროგრამის ფინანსური მდგრადობის საკითხი და სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ აღნიშნული საკითხი.
საბჭოს წევრი, გაიოზ ფარცხალაძე, მიესალმა სხდომაზე დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ გადახედა სავალდებულო კურსებს, სადაც არის „ORIS - საბუღალტრო აღრიცხვის სისტემა“, რომელიც არის წინაპირობის გარეშე და როგორც მისთვის ცნობილია საბუღალტრო გატარებების და სხვა საკითხების გარეშე ეს კურსი არ შეისწავლება, ამიტომ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ თუ ვისთვის იყო აღნიშნული სასწავლო კურსი გამიზნული.
საბჭოს წევრმა დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ მან გადახედა შეფასების კრიტერიუმებს და აღნიშნა რომ ყველა ინფორმაცია მკაფიოდ არის მოყვანილი, არსებობს შეფასების გეგმაც, შესაბამისად ის დაინტერესდა თუ რას გულისხმობს ექსპერტი რეკომენდაციაში „კონკრეტულად გაწერაში“ მისი მოსაზრებით, რადგან შეფასება ახალი შემუშავებულია მას ვერ იქნება ანალიზი, რაც ექსპერტთა ჯგუფს აღწერილიც აქვს შესაბამის კომპონენტში, შესაბამისად

ის დაინტერესდა თუ რამდენად გამართლებული იყო აღნიშნული რეკომენდაციის გაცემა. იმ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, რომლებიც პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისკენ არის მიმართული, მან აღნიშნა რომ მათ უფრო რჩევის ხასიათი აქვთ. ასევე ის დაინტერესდა იმასთან დაკავშირებით, თუ სტუდენტთა მაქსიმალური ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში რამდენად უზრუნველყოფილია და რამ გამოიწვია ამ მიმართულებით რეკომენდაცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ია მოსაშვილმა, ელექტრონული რესურსის ბიბლიოთეკაში ასახვასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ არაერთხელ უნახავთ ბიბლიოთეკაში ელექტრონული რესურსების ბაზა, შესაძლებელია ბმულის სახით მიებას, მთავარია ბიბლიოთეკაში სტუდენტისთვის შესაძლებელი იყოს ბაზაში მოძებნოს მისთვის შესაბამისი ლიტერატურა, რაც არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს, მთავარია რესურსები ელექტრონული სახით არსებობდეს.

ნაშრომში ციტირების შესახებ ექსპერტმა განმარტა, რომ რეკომენდაციის მიზეზი იყო ციტირებასთან დაკავშირებით ნაშრომებში რამდენიმე შემთხვევის აღმოჩენა მაგრამ მიუხედავად ამისა, იმის არ აღნიშვნა, რომ საბაკალავრო ნაშრომის შიგნით არსებული ინფორმაცია კარგადაა გადმოცემული არ შეიძლებოდა.

ექსპერტმა პირველი რეკომენდაციის შესახებ განაცხადა, რომ მან კარგად აღწერა დასაწყისში თუ ექსპერტებმა რა იგულისხმეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების კრიტერიუმების მკაფიოდ გაწერაში. მისი თქმით ეს ყველაფერია გაწერილია ძალიან ზოგადად და მიემართება ყველა პროგრამას. მათი მოსაზრებით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების კრიტერიუმები ამ პროგრამისთვის უნდა იყოს კიდევ უფრო დაკონკრეტებული.

ანალიზის დოკუმენტთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა შემოტანილია რეაკრედიტაციაზე და არ არის სრულიად ისეთი ახალი პროგრამა, რომ დღეის მდგომარეობით ანალიზის შესაძლებლობას არ იძლეოდეს. ექსპერტები გულისხმობენ ცვლილებამდე პროგრამის ანალიზის დოკუმენტს.

საბჭოს თავმჯდომარის თქმით, ერთერთ რეკომენდაციაში გაწერილია, რომ პერიოდულად უნდა განხორციელდეს პროგრამის შედარება, შესაბამისად ის დაინტერესდა, პროგრამის შედარება საერთოდ არ ხდებოდა თუ ხდებოდა მცირე ინტენსივობით.

ექსპერტმა, ნინო პატარაიამ, განმარტა, რომ ასეთი დოკუმენტი წარმოდგენილი არ ყოფილა, რაზეც ყურადღება აღწერით ნაწილშიც აქვთ გამახვილებული, მისი თქმით, ინსტიტუციას არც რეაკრედიტაციის პროცესში ჰქონდა წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც ექსპერტთა ჯგუფს დაანახებდა რეალურ სურათს. ხოლო რაც შეეხება შიდა და გარე შეფასების ნაწილს, მისი თქმით, დაწესებულებას ნამდვილად ჰქონდა წარმოდგენილი შიდა და გარე ექსპერტების შეფასებები. ამიტომაც გასცეს ამ მიმართულებით რჩევები, რომ რომ ისინი ატარებდნენ ზოგად ხასიათს, თითქოს მოვალეობის მოხდის მიზნით გაკეთებული დოკუმენტი იყო და კარგი იქნებოდა ასეთი ტიპის შეფასება უფრო კონკრეტული იყოს და ყურადღება გამახვილდეს თუ რა კუთხით უნდა გაძლიერდეს ინსტიტუცია და რა კუთხით უნდა მოხდეს სხვა პროგრამების გაზიარება.

ექსპერტი, ნინო ტალიკაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს. მან აღნიშნა, რომ 3.1 კომპონენტში გაცემული რეკომენდაციების აღწერილობით ნაწილში მოცემულია ის არგუმენტაცია, რამაც განსაზღვრა ამ კომპონენტში რეკომენდაციების გაცემა. მისი თქმით, თვითშეფასების ანგარიშში დაწესებულებას ჰქონდა აღნიშნული, რომ არსებობს კურსდამთავრებულთა ბაზა და ხშირი კონტაქტი აქვთ მათთან, თუმცა, როდესაც ექსპერტთა ჯგუფმა გადაწყვიტა ამის გადამოწმება კურსდამთავრებულებს საერთოდა არ ჰქონდათ ინფორმაცია აღნიშნული ბაზის შესახებ და არ იცოდნენ რა სარგებელი შეიძლება მიეღოთ მისგან, იგივე პრობლემა იყო, კარიერის მართვის სამსახურის მიერ შეთავაზებული ბენეფიტების შესახებ. მისი თქმით, სწორედ აქედან გამომდინარე გაიწერა აღნიშნული რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენი სტუდენტი იქნა გამოკითხული.

ექსპერტმა, ნინო ტალიკაძემ, განაცხადა რომ ეს იყო ინტერვიუირების პროცესი, რომელზე დამსწრე საზოგადოება იყო 6-8 სტუდენტი/კურსდამთავრებული.
საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა ყველა სტუდენტმა ერთხმად აღნიშნა თუ არა ინფორმაციის ნაკლებობა.
ექსპერტმა, ნინო ტალიკაძემ, აღნიშნა, რომ კურსდამთავრებულთა ბაზის შესახებ ყველამ ერთხმად აღნიშნა ინფორმაციის ნაკლებობა. ასევე მან შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება სემინარებს, კონფერენციებსა და გაცვლით ღონისძიებებს, განმარტა, რომ თვითშეფასებაში დაწესებულებას აღნიშნული აქვს, რომ საშუალოდ 8-10 სტუდენტი იღებს მონაწილეობას ყოველწლიურად, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი დოკუმენტაციის საფუძველზე მიმდინარე წელს მხოლოდ ერთი სტუდენტი ფიქსირდებოდა აღნიშნული პროგრამიდან კონფერენციებში, როდესაც ეს გადამოწმდა სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან, მხოლოდ 2-3-მა კურსდამთავრებულმა დაადასტურა მონაწილეობა.
ექსპერტმა, მაქსიმ იავიჩმა, განაცხადა, რომ სხვადასხვა საგნებში ჩაშლილია კიბერუსაფრთხოების საკითხები, მაგრამ რადგან ეს საკითხი საკმაოდ აქტუალურია, ჯობია საფუძვლები ისწავლებოდეს ცალკე საგნად და შემდეგ ხებოდეს სხვადასხვა საგნებში გამოყენება. როგორც მან აღნიშნა, დაწესებულებამ უკვე გაიზიარა რეკომენდაცია და უკვე დაამატეს აღნიშნული სასწავლო კურსი.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, რომეო გალდავამ განაცხადა, რომ სტუდენტი ვერ გაივლის რეგისტრაციას, თუ არ დაფიქსირდება კარიერული მართვის სამსახურში. ის თავის მონაცემებს, მათ შორის მუშაობს თუ არა აფიქსირებს და ასე იქმნება ბაზა. კარიერული მართვის სამსახურიდან კი კურსდამთავრებულებს წელიწადში ერთხელ უკავშირდებიან და ამოწმებენ მუშაობენ თუ არა და რა სპეციალობით.
შრომის ბაზრის შესახებ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ გაიზიარეს აღნიშნული რეკომენდაცია, მისი თქმით, მათ დაიქირავეს კომპანია რომელიც გააკეთებს უნივერსიტეტის დაკვეთით შრომის ბაზრის კვლევას. ბიუჯეტთან დაკავშირებით კი მან აღნიშნა, რომ ხარისხის სამსახურმა დააყენა საკითხი ბიუჯეტის ფორმის ცვლილებასთან დაკავშირებით.
საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ატარებენ კონფერენციებს, მისი თქმით, ბოლო კონფერენციაშიც მიიღეს მონაწილეობა სტუდენტებმა. შესაბამისად ისინი ვერ დაეთანხმებიან აღნიშნულ რეკომენდაციას.
კიბერუსაფრთხოების ნაწილში დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას, მისი თქმით მართალია აღნიშნული საკითხი გაბნეულია სხვადასხვა საგნებში, მაგრამ ასწავლიან ცალკე საგნადაც.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ როგორც ითქვა კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული საგანი დაწესებულებამ არჩევითიდან გადაიტანა ძირითადში, მისი თქმით, ეს ძალიან კარგია, თუმცა პროგრამაში უდნა განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები როდესაც იცვლება არჩევითისა და სავალდებულო საგნების სტრუქტურა, ასევე უნდა შეცვალოს სწავლის შედეგები.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ნანა გულუამ, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის წევრმაც ვიზიტის დროს აღნიშნა, რომ საგანი პირდაპირ ამ სახელწოდებით არ იყო პროგრამაში წარმოდგენილი, თუმცა მსგავსი საგანი იყო არჩევით კურსებში, ასევე თემატიკა გაბნეული იყო სხვადასხვა სასწავლო კურსებში, მისი თქმით პროგრამა ძირითადად ორიენტირებულია პროგრამირების მიმართულებაზე და აქტუალურობიდან გამომდინარე ნელ-ნელა შემოიტანეს ქსელების თემა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული საგანი არჩევითიდან სავალდებულოში გადაიტანა ექსპერტთა ვიზიტის განხორციელების შემდეგ, შესაბამისად საბჭო არ არის უფლებამოსილი მხედველობაში მიიღოს ვიზიტის შემდეგ განხორციელებული ცვლილებები.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, რეკომენდაციასთან - „რეკომენდირებულია, გაუმჯობესდეს პერსონალის და სტუდენტების ინფორმირებულობა პროგრამაზე, რომელიც პლაგიატზე ნაშრომების შემოწმების შესაძლებლობას იძლევა“ დაკავშირებით აღნიშნა, რომ რეკომენდაციის ფორმულირება გულისხმობს რომ დაწესებულებას გააჩნია პლაგიატის შემოწმების მექანიზმი და უბრალოდ საუბარია მის შესახებ ინფორმირებულობის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მან დაწესებულებას სთხოვა ესაუბრათ არსებულ მექანიზმზე. ასევე მან დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ექსპერტს შეფასების მეთოდებთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ის დაინტერესდა პრობლემა შეუსაბამობა იყო თუ უბრალოდ ერთფეროვნება.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ია მოსაშვილმა, დააზუსტა, რომ საუბარი იყო ერთფეროვნებაზე.
საბჭოს წევრი, დიანა მჭედლიშვილმა განმარტა, რომ ტერმინები „უფრო გამრავალფეროვნდეს, „დაიხვეწოს“ ნაკლები სიმძიმის მატარებელია.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, დააზუსტა, რომ მას აინტერესებდა, სტუდენტი თვითონ ირჩევს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელს თუ ვინმე ანაწილებს ცენტრალიზებულად.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნაშრომებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ არსებობს საბაკალავრო ნაშრომების ჩამონათვალი, საიდანაც სტუდენტები თვითონ ირჩევენ სასურველ თემას, თუ არის შემთხვევა, როდესაც სტუდენტს აქვს თავისი მოსაზრება და ეს რელევანტურია დაწესებულება ამაზეც თანხმდება.
საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს შეახსენა საბჭოს წევრის, გაიოზ ფარცხალაძის კითხვა „ORIS - საბუღალტრო აღრიცხვის სისტემა“ სასწავლო კურსთან დაკავშირებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა ინგა გაბისონიამ, განაცხადა, რომ მათ Minor პროგრამაზე ჰყავდათ ეკონომისტები და ბიზნესის სპეციალობის სტუდენტები, სწორედ მათი სურვილის გათვალისწინებით შემოიტანეს სასწავლო კურსი „ORIS - საბუღალტრო აღრიცხვის სისტემა“, მოცემულ კურსში ისწავლება კონკრეტული ამოცანები და სწავლების დროს აქცენტი კეთდება უშუალოდ ინსტრუმენტებზე და პროგრამის გამოყენებაზე, ასევე, როგორც მან აღნიშნა, ჰქონდათ ისეთი შემთხვევა როდესაც მათმა სტუდენტებმა გამოთქვეს სურვილი შეესწავლათ ბიზნესის ფაკულტეტზე საბუღალტრო აღრიცხვა და პარალელურად ესწავლათ ეს საგანი, დაწესებულებამ მათი ეს სურვილი შეასრულა. მისი თქმით, რამდენად სწორი იქნება ამ შემთხვევაში საბუღალტრო აღრიცხვის ჩასმა წინაპირობად, შესაძლებელია სადაო იყოს, რადგან განახლებულ პროგრამაში არსებული საგნები ვერ იქნება „ORIS - საბუღალტრო აღრიცხვის სისტემის“ წინაპირობა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრს, დიანა მჭედლიშვილს უპასუხა, რომ რეკომენდაციაში დამატებული უნდა იყოს ერთი სიტყვა „დაზუსტდეს“ რადგან შერჩეულია სწავლის მეთოდები თუმცა არის ზოგადი და უმჯობესი იქნება თუ დაზუსტდება კონკრეტულად ამ პროგრამასთან მიმართებით.
საბჭოს წევრის, დავით კაპანაძის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სახელი შეესაბამება მის შინაარსს, უმჯობესი იქნება პროგრამას ერქვას დამკვიდრებული სტანდარტული სახელები მაგალითად „კომპიუტერული მეცნიერებები“. მისი თქმით შესაძლოა სალაპარაკო გახდეს თუ რა არის ტექნოლოგიები. როგორც მან აღნიშნა ორიენტირება ჯობია პროგრამირების ტექნოლოგიებზე გაკეთდეს. ასევე, მისი თქმით დღეს მსგავს პროგრამებში თითქმის არავის აქვს 6 კრედიტიან საწავლო კურსებზე 4 საათი, ზოგს 5 კრედიტიანი საგნები წარმოდგენილი აქვთ 1 საათი ლექციითა და 1 საათი სემინარით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:14
დასრულების დრო: 15:48

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული საერთო შეფასება, კერძოდ, მე - 3 და მე - 5 სტანდარტები, ნაცვლად, „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭომ რამდენიმე რეკომენდაცია დაამატა/გადაიტანა რჩევებში, ასევე, რამდენიმე რეკომენდაციას შეუცვალა ფორმულირება.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები

1. დაიხვეწოს სილაბუსები, სადაც გასაკეთებელია ტექნიკური და შინაარსობრივი ცვლილებები: ვებ დიზაინი, დაპროგრამების ენები 2, დისკრეტული სტრუქტურები;
2. დაპროგრამების ენების სილაბუსების სათაურები მოვიდეს შესაბამისობაში შინაარსთან;
3. მოხდეს სილაბუსების გადამოწმება და მათში არსებული მოძველებული ლიტერატურის განახლება;
4. დაემატოს კიბერუსაფრთხოების საბაზისო კურსი ძირითად საგნებში;
5. საბაკალავრო ნაშრომებში, ტექსტში უნდა დაემატოს ლიტერატურის წყაროები;
6. რეკომენდირებულია, დაიხვეწოს შეფასების სისტემა, კერძოდ, გამრავალფეროვნდეს შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების კომპონენტები, რომლებიც ორიენტირებული იქნება მეტწილ პრაქტიკულ მხარეზე და თეორიის პრაქტიკულ გამოყენებაზე;
7. რეკომენდირებულია, გასწორდეს ტექნიკური და შინაარსობრივი უზუსტობები, რომლებსაც ვხვდებით ცალკეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტებში. კერძოდ, ეს სასწავლო კურსებია, „დაპროგრამება Visual Studio-ში“, „კომპიუტერული მოდელირების ტექნოლოგიები“, „ოპერაციული სისტემა Linux, სისტემური ადმინისტრირება“;
8. რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა;
9. გამოყენებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა. რეკომენდებულია, პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის შედარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;

რჩევები:

1. სასურველია სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა უფრო მეტი ჩართულობა პროგრამის შემუშავებაში;
2. სასურველია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების კრიტერიუმების მეტი დეტალიზება;
3. სასურველია გაფარდოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი და დაზუსტდეს კვლევაში მონაწილე სუბიექტები;
4. სასურველია გაიზარდოს სტუდენტთა და კურდსმთავრებულთა ჩართულობა პროგრამის შემუშავებაში;
5. სასურველია სასწავლო კურსის „- მონაცემთა დამუშავების სტატისტიკური მეთოდები“ გადახედვა და გადახალისება;

6. დაზუსტდეს სასწავლო კურსის "ORIS-ი საბუღალტრო აღრიცხვა", თუ რომელი სტუდენტებისთვისაა განსაზღვრული, ან დაზუსტდეს მისი დაშვების წინაპირობა;
7. სასურველია სწავლების მეთოდები იყოს უფრო მრავალფეროვანი საგნის თემატიკების შესაბამისად;
8. სასურველია გაძლიერდეს ინგლისური ენის შესწავლა;
9. სასურველია პროგრამას დაემატოს პრაქტიკა, როგორც სავალდებულო სასწავლო კურსი;
10. სასურველია, გაუმჯობესდეს პერსონალის და სტუდენტების ინფორმირებულობა პროგრამაზე, რომელიც პლაგიატზე ნაშრომების შემოწმების შესაძლებლობას იძლევა;
11. სასურველია, ფაკულტეტებს მიეცეთ შესაძლებლობა დააწესონ უფრო მაღალი ზღვარი თავიანთი პროგრამების ფარგლებში; კერძოდ, გაიზარდოს შუალედური შეფასებების ჯამური მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (11 ქულა);
12. სასურველია კარიერული სამსახურის გააქტიურება სტუნდეტთა დასაქმების მიზნით; კერძოდ, ადმინისტრაციის მხრიდან გააქტიურდეს შეხვედრა/სემინარების ორგანიზება პოტენციურ დამსაქმებლებთან სტუდენტების ჩართულობით; ასევე, ინფორმაციის მიწოდება სტუდენებისთვის კარიერული სამსახურის ცენტრის ფუნქციონირების შესახებ;
13. სასურველია დაწესებულებამ/ფაკულტეტმა პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოს ან/და ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო კონფერენციებში;
14. სასურველია კურსდამთავრებულთა ბაზის აქტიური ამოქმედება შესაბამისი ღონისძიებების მოწყობით (თუნდაც, დამსაქმებელთა მოთხოვნების მიხედვით კურსდამთავრებულთა პორტფოლიოების შექმნა); ასევე, მისი ინტეგრირება პოტენციურ დამსაქმებელთა ბაზასთან, მათ შორის ორმხრივი და უწყვეტი კავშირის უზრუნველსაყოფად. ეს ყოველივე ხელს შეუწყობს ინფორმაციის დროულ და სწრაფ მიმოსვლას ორივე მხარეს შორის. შესაძლებელია, დაიგეგმოს შესაბამისი დამხმარე ღონისძიებებიც;
15. სასურველია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ დაინტერესებულ მხარეებს აცნობოს შესაბამისი გამოკითხვის შედეგები და მიღებული შედეგების გამოყენების გეგმა;
16. სასურველია, სტუდენტებს საკონსულტაციო განრიგის შესახებ ინფორმაცია მიეწოდოთ ელექტრონულად, კერძოდ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ფაკულტეტების ვებ-გვერდზე „სასწავლო ცხრილებში“;
17. სასურველია გაძლიერდეს უნივერსიტეტის მხრიდან აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარების თაობაზე და შესაძლებლობებზე ინფორმირებულობა;
18. სასურველია გაძლიერდეს უნივერსიტეტის ხელშეწყობა აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარების საერთაშორისო ღონისძიებებში (კონფერენციები, კონგრესები, სიმპოზიუმები, გაცვლითი პროგრამები, სკოლა-სემინარები, ტრენინგები) მონაწილეობის თვალსაზრისით და, შეძლებისდაგვარად, უზრუნველყოს უნივერსიტეტის ეგიდით ამ ტიპის ღონისძიებების ჩატარება;
19. სასურველია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ელექტრონული რესურსები სრულად იქნეს წარმოდგენილი ბიბლიოთეკაშიც;
20. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმების წარმართვა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების კუთხითაც უნდა განხორციელდეს;
21. სასურველია გამოკითხვის შედეგებზე დაყრდონით, უფრო სიღრმისეული ანალიზის წარმოება და მიღებულ შედეგებზე შემდგომი რეაგირება, ერთიანი რეაგირების ანგარიშის წარმოდგენის გზით;
22. სასურველია შემუშავდეს აკადემიური პერსონალის შეფასების ეფექტური მექანიზმი და შედეგებზე დაყრდნობით განხორციელდეს შესაბამისი ანალიზი;
23. სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის შეფასება და ანალიზის პრაქტიკაში განხორციელება.

უნდა გაძლიერდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობა და მხარდაჭერა სამეცნიერო, კვლევითი, პროფესიული განვითარების პროგრამებსა და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში;

24. სასურველია უნივერსიტეტმა იკვლიოს ისეთი საყურადღებო საკითხები, როგორიცაა მობილობით გადასული-გადმოსული სტუდენტების კმაყოფილების კვლევა, რათა დააიდენტიფიციროს რამ განაპირობა მობილობით სტუდენტთა გადინება ან პირიქით, მათი აღნიშნულ პროგრამაზე გადმოსვლა;
25. სასურველია მკაფიოდ იკვეთებოდეს, თუ როგორ იყენებს უნივერსიტეტი გარე ექსპერტის მიერ გაკეთებულ დასკვნებს, შეფასების შედეგებს და რეკომენდაციებს, საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით;
26. სასურველია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან პერიოდულად მოხდეს სილაბუსების გადამოწმება და მასში არსებული მოძველებული ლიტერატურის ცვლილებაზე რეკომენდაციის გაცემა პროგრამის ხელმძღვანელებისა და პროგრამის განვითარებაზე მომუშავე ჯგუფის მისამართით;
27. სასურველია დაინერგოს განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება ან/და პროგრამის მონიტორინგისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასება განხორციელდეს სააუდიტორო საქმიანობის შეფასების გზით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის გაუმჯობესებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

15:48 საათზე საბჭო დატოვა ელიზბარ ელიზბარაშვილი.

მეორე საკითხი: შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით, განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფარმაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	23.06.2017 გადაწყვეტილება №32
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ფარმაციის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0144, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N31
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნატალია ალავიძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული სამი სტანდარტიდან - სამივე შესაბამისობაშია სტანდარტებთან. თუმცა ექსპერტებმა გამოყვეს რამდენიმე რეკომენდაცია და რჩევა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. სწავლის შედეგები გაიწეროს აქტიური ზმნების აქტიური ზმნების გამოყენებით აწმყო დროში განახლებული კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისად, როგორც კურიკულუმში ასევე სილაბუსებში.
2. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიური წერა მოიცავს სამეცნიერო ნაშრომის დამუშავების ვალდებულებას რიგ კურსებში რეკომენდირებულია ჩაისვას რეფერატის შექმნის ვალდებულება მნიშვნელოვან საკითხებზე, ასევე პროგრამაში ჩაისვას კვლევის თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდების შემსწავლელი კურსები.
3. კვლევითი უნარების განვითარებისთვის სასურველია მათი მოტივაციის გაზრდა: მაგ. შეიქმნა აკად. პერსონალის კვლევითი პროფილის ბაზა, რომელიც მისაწვდომი იქნება სუდენტისთვის. შესაბამისად ისინი, საკუთარი შესაძლებლობების და სურვილის გათვალისწინებით მიმართავენ კონკრეტულ აკდ.პერსონალს კვლევით პროცესში ჩართვის მიზნით, ასევე, შსაძლოა პერმანენტული შეხვედრები მოეწყოს სტუდენტებთნ სადაც აკადემიური პერსონალი წარადგენს საკუთარ მიღწევებს და სამეცნიერო მიმართულებებს.
4. სტუდენტური კონფერენციების რაოდენობის გაზრდა.

რჩევები:

1. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიზნით შესაძლებელია რიგი არჩევითი კურსების შეთავაზება ალტერნატივის სახით ქართულ კურსებთან ერთად უცხო ენაზეც;
2. სასურველია გაიზარდოს ფარმაციის დარგთან დაკავშირებული არჩევითი კურსები, მათ შორის ,,ფარმაცევტული ზრუნვა", ვინაიდან ეს კურსი მოთხოვნადია წამყვანი ევროპული ფარმაცევტული სკოლების კურიკულუმებში;
3. სასურველია დაემატოს ინგლისურის გარდა სხვა დარგობრივი უცხო ენები;
4. საერთაშორისო ანალოგიური პროგრამების გამოცდილების გაზიარება და პროგრამის სწავლის შედეგების კიდევ უფრო დაახლოვება თანამედროვე საერთაშორისო და ადგილობრივი ფარმაცევტული ბაზრის მოთხოვნებთან;
5. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაუმჯობესება;
6. სტუდენტების თანაავტორობით გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების გაზრდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს. რეკომენდაციებთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ მიმდინარეობს მუშაობა სწავლის შედეგების აწმყო დროში გაწერის შესახებ და დაწესებულება გეგმავს მის სრულად გათვალისწინებას მომავალში.

პროგრამის ინტერნაციონალიზაციის შესახებ მან აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით ბევრი ნაბიჯია გადადგმული, უნივერსიტეტში არის კვლევითი შიდა პროექტი, რომელშიც ჩართულნი არიან „ფარმაციის" პროგრამის სტუდენტები და ეს არის ერთ-ერთი ძალიან აქტუალური პროექტი, რომელსაც მოჰყვა ასევე საერთაშორისო გამოხმაურება. მისი თქმით, პროექტის ხელმძღვანელი ცდილობს, რომ საერთაშორისო თანამშრომლობით მოიპოვოს დიდი გრანტი, რაშიც ჩართული იქნება, როგორც უნივერსიტეტი, ასევე მისი სტუდენტებიც. როგორც მან აღნიშნა, ასევე, ხორციელდება მიმდინარე პროექტი მარინე შავლაყაძის ხელმძღვანელობით, ეკოლოგიურ თემაზე და აქაც ასევე ჩართული არიან „ფარმაციისა" და „სტომატოლოგიის" სტუდენტები. აღნიშნულ პროექტებში ჩართულმა სტუდენტებმა წარმოადგინეს მოხსენებები

საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა 27 მაისს და მონაწილეობას იღებდა 8 ქვეყნის წარმომადგენელი დოქტორანტი. კონფერენცია იყო მულტიდისციპლინური, აღნიშნულ კონფერენციაში ჩართული იყო არა მხოლოდ ჯანდაცვის ფაკულტეტი, არამედ სხვა ფაკულტეტებიც. ამ ეტაპზე კი მზადდება თეზისების კრებული, სადაც ზემოაღნიშნული მოხსენებები იქნება დაბეჭდილი.
როგორც მან აღნიშნა, ასევე ჩატარდა 2 დღიანი ვორქშოფი ქრომატოგრაფიის მიმართულებით.
დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ისინი ასევე მუშაობენ რჩევებზეც, და ყველაფერი იქნება შესრულებული და გათვალისწინებული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:00
დასრულების დრო: 16:08

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭომ ორი რეკომენდაცია გადაიტანა რჩევებში, ხოლო დანარჩენი რეკომენდაციები და რჩევები გაიზიარა:

საბოლოოდ დაწესებულებას დაევალა შემდეგი რეკომენდაციების შესრულება:

1. სწავლის შედეგები გაიწეროს აქტიური ზმნების გამოყენებით აწმყო დროში, განახლებული კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისად, როგორც კურიკულუმში, ასევე სილაბუსებში;
2. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიური წერა მოიცავს სამეცნიერო ნაშრომის დამუშავების ვალდებულებას, რეკომენდირებულია რიგ კურსებში ჩაისვას რეფერატის შექმნის ვალდებულება მნიშვნელოვან საკითხებზე, ასევე პროგრამაში ჩაისვას კვლევის თვისობრივი და რაოდენიობრივი მეთოდების შემსწავლელი კურსი.

რჩევები

1. საერთაშორისო ანალოგიური პროგრამების გამოცდილების გაზიარება და პროგრამის სწავლის შედეგების კიდევ უფრო დაახლოვება თანამედროვე საერთაშორისო და ადგილობრივი ფარმაცევტული ბაზრის მოთხოვნებთან;
2. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაუმჯობესება;
3. კვლევითი უნარების განვითარებისთვის სასურველია მათი მოტივაციის გაზრდა: მაგ. შეიქმნა აკად. პერსონალის კვლევითი პროფილის ბაზა, რომელიც მისაწვდომი იქნება სუდენტისთვის. შესაბამისად ისინი, საკუთარი შესაძლებლობების და სურვილის გათვალისწინებით მიმართავენ კონკრეტულ აკდ.პერსონალს კვლევით პროცესში ჩართვის მიზნით, ასევე, შსაძლოა პერმანენტული შეხვედრები მოეწყოს სტუდენტებთნ სადაც აკადემიური პერსონალი წარადგენს საკუთარ მიღწევებს და სამეცნიერო მიმართულებებს.
4. სტუდენტური კონფერენციების რაოდენობის გაზრდა;
5. სტუდენტების თანაავტორობით გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების გაზრდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტისთვის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით 60 კალენდარული დღის ვადის მიცემის საკითხი, ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციების შესრულების მიზნით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, აკრედიტაციის დებულების 31 - ე მუხლის 22 - ე პუნქტის საფუძველზე შპს - თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს „ფარმაციის“ საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით დაევალოს 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს ის რეკომენდაციები რომლებიც ოქმშია მოცემული.

მესამე საკითხი: შპს - უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 სამართალი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0140 ქ. თბილისი, ქსნის ქუჩა N35
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვთაცილება განაცხადა - ეკატერინე ნაცვლიშვილმა და ნინო ჭალაგანიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე სტანდარტი კი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო ბოგვერაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ პროგრამა წარმოდგენილია როგორც ახალი, თუმცა დაწესებულებაში სამართლის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდებოდა 2015 წლიდან. როგორც მან აღნიშნა ვიზიტის ფარგლებში შედგა შეხვედრები მომიჯნავე დარგის - საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების პანელში კი მხოლოდ ერთი მათგანის ჩართვა განხორციელდა, რადგან, როგორც დაწესებულებამ განმარტა, დანარჩენმა სიაში წარმოდგენილმა კურსდამთავრებულებმა უარი განაცხადეს Zoom-ის მეშვეობით ჩართვაზე. მისი თქმით ექსპერტთა ჯგუფისთვის წარდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრების შედეგად არ გახდა მკაფიო რამდენიმე მომენტი:
1. პროგრამის ინდივიდუალურობა;
2. რამდენად თანამედროვეა შრომის ბაზრის კვლევა - თვითშეფასების ანგარიშზე თანდართული დოკუმენტაციის ფარგლებში სასწავლებლის მიერ წარმოდგენილია 2018 წლით დათარიღებული „დასაქმების ბაზრის კვლევა სამართლის, ბიზნესის ადმინისტრირების, საჯარო მმართველობის, ინჟინერიისა და კომპიუტერინგის სპეციალობისათვის“, ვიზიტისას კი სასწავლებელმა დამატებით წარმოადგინა 2019 წლით დათარიღებული დოკუმენტი „შრომის ბაზრის და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი იურისტებთან მიმართებით“. 2018 წლის დოკუმენტი მწირ ინფორმაციას შეიცავს სამართლის მიმართულებით შრომის ბაზრის კვლევის თვალსაზრისით, 2019 წლის დოკუმენტი კი ზოგადად ასახავს შრომის ბაზარზე დასაქმების მოთხოვნებს და ძირითადად წარმოადგენს გარკვეულ ანალიზს დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგებზე (დოკუმენტს თან ერთვის დამსაქმებელთა შესაბამისი კითხვარის ფორმა, რომელიც „შევსებული“ სახით არ არის წარმოდგენილი). ამასთან, გარდა იმისა, რომ დასახელებულ შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტებში რელევანტური ინფორმაცია მწირია, განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი ჩატარების/შედგენის თარიღები - კვლევები/ანალიზი განხორციელებულია 2018-2019 წლებში, რაც, ბუნებრივია, პროგრამის აკრედიტაციის პერიოდისათვის 2-3 წლის შემდგომ ვერ ასახავს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და გამოწვევებს, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც 2019 წლიდან დღემდე კორონავირუსის ფართოდ გავრცელებით გამოწვეულმა შედეგებმა არსებითი ზეგავლენა მოახდინა არამარტო შრომის ბაზარზე, არამედ ზოგადად განათლების სისტემაზეც და ახალი, სრულიად განსხვავებული

გამოწვევების წინაშე დააყენა იგი. ამდენად, შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნებისა და გამოწვევების საპასუხოდ პროგრამის მიზნებისა და შედეგების ჩამოსაყალიბებლად, ისევე, როგორც პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის განსასაზღვრად, უმჯობესი იქნებოდა, სასწავლებელს განეხორციელებინა პროგრამის შექმნის პერიოდისათვის ჩატარებული თანამედროვე შრომის ბაზრის შედარებით დეტალური ანალიზი.
ექსპერტის თქმით, პროგრამა ეს არის გარკვეული პროდუქტი, რომელსაც ქმნის დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, ერთობლივი მუშაობა, რომელიც გარკვეულ ინდივიდუალურ ასპექტებს უნდა ითვალისწინებდეს. როგორც მან აღნიშნა, აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას, აკადემიური პერსონალის გარკვეულმა ნაწილმა დააფიქსირა, რომ ისინი აქტიურად არ ყოფილან ჩართული პროგრამის შემუშავების პროცესში, ხოლო დამსაქმებელმა დაადასტურა აქტიური მონაწილეობა პროგრამის შემუშავების პროცესში, თუმცა პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ სტუდენტსა და მოწვეულ პერსონალს, ამასთან, როგორც მან აღნიშნა ინტერვიუს შედეგებით ასევე დადასტურდა ის მომენტი, რაც ექსპერტებმა სილაბუსებთან დაკავშირებით შეინიშნეს, კერძოდ, ის თუ რამდენად არის სილაბუსები მისი კონკრეტული ავტორების მიერ/თანამონაწილეობით შედგენილი, გასაუბრებისას გარკვეულმა ნაწილმა აღნიშნა, რომ მათ დაწესებულებისგან მიეწოდათ გამზადებული სილაბუსები და შესაბამისად, უმნიშვნელო ცვლილებები განახორციელეს. ასევე, მისი თქმით ექსპერტთა ჯგუფისთვის წარმოდგენილი იყო თვითშეფასების ჯგუფის სხდომის ოქმები და დოკუმენტაცია, რომელიც პროგრამის ანგარიშის შემუშავებას და პროგრამასთან დაკავშირებულ გარკვეულ საკითხებს მოიცავდა, თუმცა არსებობს კონკრეტული დოკუმენტი დაწესებულებაში, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის შემუშავების წესს და ამ წესის მიხედვით კონკრეტული დოკუმენტური სახით ინფორმაცია არ ყოფილა წარმოდგენილი და ამდენად, როგორც მან აღნიშნა, შეიძლება კითხვის ნიშნები დაისვას იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შეიძლება იყოს პროგრამა გარკვეული, ინდივიდუალური ნიშნებით გამორჩეული და რა სიახლე შეიძლება შემოიტანოს მოცემულ შემთხვევაში სამართლის აკადემიურ სივრცეში.
ექსპერტის თქმით, დასკვნაში, სწავლის შედგების დოკუმენტთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციის საფუძველი იყო, ის რომ მათ ვიზიტის დროს ნახეს ისეთი დოკუმენტი, რომელიც არ იყო დათარიღებული, მათთვის საერთოდ გაუგებარი იყო თუ როგორ მოხდა მისი მიღება და საერთოდ შეიცავდა მწირ ინფორმაციას სწავლის შედეგების შეფასების შესახებ.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ დასტურდება სხვადასხვა აქტივობებთან დაკავშირებით სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდების ფაქტი, მათ შენიშნეს სტუდენტების მხრიდან დაბალი ინტერესი აღნიშნულ აქტივობებთან დაკავშირებით. ამდენად, ერთია, რომ უნივერსიტეტს აქვს კონკრეტული მექანიზმი უზრუნველყოს ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისთვის, მაგრამ ასევე, მისი ვალდებულებაა მოახდინოს იმგვარი მექანიზმების დანერგვა უნივერსიტეტში, რომ ხელი შეუწყოს სტუდენტების დაინტერესებას, რაც შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა წამახალისებელი მექანიზმების დანერგვით.
ექსპერტის თქმით, რეკომენდაციები ეხება ასევე აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კუთხით აქტივობების გაძლიერებას და ასევე ბიუჯეტს, როგორც მან აღნიშნა, მიზანშეწონილია მეტი მატერიალური რესურსი გამოიყოს პროგრამის ბიუჯეტიდან აკადემიური პერსონალის სამეცნიერო განვითარებისთვის.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით ეს იყო ის ძირითადი მიგნებები, რაც მათ დასკვნაში დააფიქსირეს

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელი, დევი ხვედელიანი მესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს. ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ დაწესებულებამ

ბაზრის კვლევა ჩაატარა ყველა წესის დაცვით, მათ პროგრამა არ მოუმზადებიათ მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცამ ასე ჩათვალა საჭიროდ. პროგრამის მომზადებას რა თქმა უნდა საფუძვლად ედო ბაზრის კვლევა. მისი თქმით კვლევა ჩატარდა 2019 წელს და დაიდო პოზიტიური შედეგები, რამაც განაპირობა პროგრამის მომზადება, უარყოფითი შედეგის შემთხვევაში შესაძლებელია პროგრამა არც ყოფილიყო მომზადებული იმ ვადებში. როგორც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ახსენა 3 წელია გასული ბაზრის კვლევის ჩატარებამდე, თუმცა როგორც მანა აღნიშნა, კვლევიდან არ გასულა იმდენი დრო, რომ სამართალს დაეკარგა თავისი აქტუალობა.

პროგრამის ინდივიდუალიზმის შესახებ მან განაცხადა, რომ სამართლის და მითუმეტეს რეგულირებადი პროგრამის ინდივიდუალიზმი ერთ-ერთი პრობლემაა საქართველოში, ვინაიდან არსებობს კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩო და სხვა ბევრი რეგულაცია, რომელიც ერთგვაროვან სტანდარტებს უყენებს სამართლის პროგრამას, შესაბამისად დიდ გასაქანს და ფანტაზიას არ იძლევა. ამის მიუხედავად უნდა ითქვას, რომ პროგრამა არის ინდივიდუალური და პროგრამის მომზადებაში კვლევის ჩატარების გარდა ჩართული იყვნენ როგორც აკადემიური პერსონალი, ასევე დამსაქმებლები, გარდა იმისა, რომ პერსონალი ჩართული იყო პროგრამის მომზადებაში, დაწესებულებამ არაერთი ტრენინგი ჩაატარა პანდემიის პერიოდში, რისი ვიდეო ჩანაწერებიც დაწესებულებას გააჩნია. მან როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა ჩაატარა 10-მდე შეხვედრა იმ აკადემიურ პერსონალთან, რომლებიც მუშაობდნენ პროგრამაზე, შეხვედრის ფარგლებში ისინი განიხილავდნენ პროგრამას, ხდებოდა შესაბამისი ტრენინგების ჩატარარება და სხვა აქტივობები. ამ ყველაფრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია მათ გააჩნიათ.

სტუდენტების დაინტერესებასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ სტუდენტები ჩართულნი იყვნენ პროგრამის მომზადების ნაწილში, თუმცა რამდენად უხაროდათ და მოსწონდათ ეს დაწესებულებისთვის უცნობია, თუმცა მათ უზრუნველყვეს სტუდენტთა მონაწილეობა, რაც ასევე დასტურდება.

აკადემიური პერსონალის მეტი აქტივობის შესახებ იგი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფს და განმარტა, რომ ეს ძალიან კარგი რეკომენდაციაა, ვინაიდან აკადემიური პერსონალი საკმაოდ ცნობადი და გამოცდილია, თუ პროგრამა გაივლის აკრედიტაციას ისინი ხელს შეუწყობენ მათი დაწესებულების სახელით აქტიურობას.

სწავლის შედეგებისა და ბიუჯეტის შესახებ მან განაცხადა, რომ უკეთესი იქნება სიტყვა გადასცეს რექტორის მოვალეობის შემსრულებელს, ნატალია ბარათელს.

ნატალია ბარათელი, მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ შრომის ბაზრის კვლევა გააკეთა 2019 წელს, 2020 წლის დეკემბერში კი შემოიტანეს პროგრამა აკრედიტაციაზე, მისი მოსაზრებით შრომის ბაზარი არ შეცვლილა 8 თვის განმავლობაში. როგორც მან აღნიშნა შრომის ბაზრის კვლევას ყოველ წელს არცერთი დაწესებულება არ ატარებს, თუმცა დაწესებულება გაითვალისწინებს ამ მიმართულებით რეკომენდაციას და როდესაც დაიწყება პროგრამის განხორციელება 2-3 წლის შემდეგ ისინი ჩაატარებენ სიღრმისეულ კვლევას.

სწავლის შედეგების დეტალური ანალიზის შესახებ მან განაცხადა, რომ დაწესებულება იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას, თუმცა რადგან პროგრამა არ არის ფუნქციონირებადი და არ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, ანალიზის გაკეთება რთულია, რადგან შესაძლებელი უნდა იყო სასწავლო პროცესის დაკვირვება. თუმცა მათ წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი სადაც მოცემულია სწავლის რომელი შედეგი როგორ მიიღწევა, მაგრამ დეტალური, პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასებების გაკეთებაც ძალიან მნიშვნელოვანია და აუცილებლად გააკეთებენ. მან ასევე გაიზიარა რეკომენდაცია დაწესებულების მიერ სტუდენტთა ინფორმირების შესახებ, მისი თქმით, როდესაც მათ ამ პროგრამაზე ეყოლებათ სტუდენტები მათთან მოაწყობენ სხვადასხვა შინაარსის შეხვედრებს ამ მიმართულებით.

პროგრამის აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ჰყავთ საკმაოდ მაღალკვალიფიციური კადრი. როგორც მან აღნიშნა, დაწესებულებამ გაითვალისწინა გარე

შეფასების პრაქტიკულად ყველა რეკომენდაცია, რადგან პროგრამამ რეაკრედიტაცია ვერ გაიარა, პროგრამა მზადდებოდა 2 წლის განმავლობაში, საქმე იმაშია, რომ 8 თვის განმავლობაში პროგრამაში ბევრი ცვლილება შეიძლება განხორციელდეს, მითუმეტეს 2 წლის განმავლობაში, მისი თქმით ზოგიერთი პერსონალი 2019-დან იყო ჩართული, ზოგი 2020-დან, როდესაც ხდებოდა პროგრამის ნელ-ნელა შევსება. პროგრამა ზოგადად არის ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც მუდმივად განიცდის ცვლილებას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ ყველა რეკომენდაციას გაითვალისწინებს დაწესებულება და როდესაც მიეცემათ საშუალება წარმოადგენენ შესაბამის დოკუმენტაციასაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, ანა ფირცხალაშვილი, მიესალმა სხდომაზე დამსწრე პირებს. როგორც მან აღნიშნა, პროგრამაში ბოლო სემესტრებში შეთავაზებული არის პრაქტიკული კურსები სამივე მიმართულებით, საჯარო სამართლის პრაქტიკული კურსი, კერძო სამართლის პრაქტიკული კურსი და სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი. მისი თქმით საჯარო სამართლის მიმართულებით აღმოაჩინა საკმაოდ ბევრი გადაფარვა, მაგალითად, ეს არის პროცესის საკითხები, მისი თქმით, მართალია პრაქტიკული კურსი ემსახურება იმას, რომ პრაქტიკული ჩვევები ისწავლოს სტუდენტმა, თუმცა პროცესი სხვა არის და პრაქტიკული ჩვევები სხვა, პროცესის საკითხები წამოღებულია ადმინისტრაციული და კონსტიტუციური სამართლიდან, მისი თქმით ეს ხომ არ არის რეპეტიტორიუმი, გადამეორება, გამტკიცება, შესაძლებელია ეს იგულისხმება, თუმცა სათაური სხვა აქვს, მისი აზრით ეს უფრო რეპეტიტორიუმია. ასევე ანა ფირცხალაშვილმა აღნიშნა, რომ სასწავლო კურსში „იურიდიულ მეცნიერებათა ეთიკა“ სათაურიდან გამომდინარე მას წარმოუდგენია, რომ აქ უნდა ისწავლებოდეს თუ როგორ უნდა შეიქმნას სამეცნიერო ნაშრომები და ა.შ., თუმცა სილაბუსი სხვა რაღაცას ამბობს, მისი თქმით, იურიდიული მეცნიერებათა ეთიკა არის სხვა, ხოლო იურიდიული ეთიკა სხვა. მისი მოსაზრებით აღნიშნულ კურსში სათაური არ შეესაბამება შინაარსს.
ანა ფირცხალაშვილი დაინტერესდა დაწესებულებაში თუ არსებობს რაიმე კონკრეტული მექანიზმები, რომელიც მხარს უჭერს პროფესორების კვლევითი უნარების განვითარებას, ტარდება თუ არა კონფერენციები, აქვთ თუ არა გამომცემლობა და სხვა. ასევე მან მიმართა დაწესებულებას განემარტთათ დაწესებულებაში რა განსხვავებაა აფილირებულ პროფესორებსა და მოწვეულ პერსონალს შორის, აქვთ თუ არა რაიმე განსაკუთრებული ხელშეწყობა აფილირებულ პერსონალს.
საბჭოს წევრმა მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, რადგან 5.1 კომპონენტთან დაკავშირებული რეკმენდაცია (მიზანშეწონილია, პროგრამის შემუშავებასა და დაგეგმვაში აკადემიური პერსონალის რეალურად ჩართულობა, სილაბუსების შედგენა ინდივიდუალურად ავტორების მიერ) საკმაოდ სერიოზული ხასიათისაა ის დაინტერესდა რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით ფიქრობდნენ ექსპერტები ასე.
საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძემ განაცხადა, რომ გაეცნო ყველა წარდგენილ (10+1) მემორანდუმს, 10 მემორანდუმი ცალ-ცალკე დასახელებით, ნუმერაციით და მეათეს კონკრეტული ადამიანის სახელი ეწერა, როდესაც 10-ივე მემორანდუმს გაეცნო მისი კითხვა გამოიწვია შემდეგმა, არის მემორანდუმი, რომელიც გაფორმებული იყო 2016 წელს, Education Academy-სთან (განათლების აკადემიასთან), იყო 2017 წელს გაფორმებული მემორანდუმი, ასევე Education Academy-სთან, 2018 წელსაც, ასევე Education Academy-სთან, 2019 წელს მალტის ქართულმა კულტურის ცენტრმა გააფორმა მემორანდუმი New University-სთან, (ახალ უნივერსიტეტთან), 2019 წელს დიუსელდორფის უნივერსიტეტმა გააფორმა მემორანდუმი, ასევე New University-სთან, ახლა კი უნივერსიტეტს ჰქვია „მილენიუმი“, მისი თქმით, „მილენიუმი“ არის წინა იურიდიული პირების სამართალმემკვიდრე, მან მიმართა იურისტებს, რომ როდესაც ხდება სამართალმემკვიდრეობის პრეცედენტი, მიზეზე არ არის საუბარი, იქნება ეს რეორგანიზაცია თუ სხვა, როგორ ფიქრობენ, უნდა მოხდეს თუ არა მემორანდუმების

განახლება და ეს კითხვა ასევე უკავშირდება აკადემიურ პერსონალთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებსაც. მან ასევე მიმართა ექსპერტებსაც, ამ მიმართულებით მიაქციეს თუ არა ყურადღება პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს.

საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე მიესალმა სხდომაზე დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ მისმა კითხვამ გაიჟღერა, თუმცა არ გაეცა პასუხი, კითხვა ეხებოდა ბიუჯეტს. დაწესებულების მიერ წარდგენილია საერთო ბიუჯეტი, სტანდარტი კი მოითხოვს, რომ წარდგენილი იყოს პროგრამის/სკოლის ბიუჯეტი, რათა საბჭოს ჰქონდეს შესაძლებლობა დასკვნა გამოიტანოს პროგრამის ფინანსური მდგრადობის შესახებ. მან მიმართა დაწესებულებას ამ მიმართულებით გაეკეთებინათ განმარტება.

პროგრამის ხელმძღვანელმა, დევი ხვედელიანმა აღნიშნა, რომ პროგრამაში გათვალისწინებულია სამივე მიმართულების პრაქტიკა. რადგან პრაქტიკის კომპონენტი ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია სამართლის ბაკალავრიატის პროგრამისთვის, შესაბამისად დაწესებულებამ გაითვალისწინა ეს მოთხოვნა, მათ პრაქტიკის კომპონენტი დაგეგმეს იმგვარად, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა აერჩიათ სასურველი მიმართულებების მიხედვით პრაქტიკის კურსი. თუმცა სტუდენტები პრაქტიკას გაივლიან არა იურიდიულ კომპანიაში, სასამართლოსა ან პროკურატურაში, არამედ ისინი პრაქტიკას დაეუფლებიან პრაქტიკული კურსების მეშვეობით. მისი თქმით ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს, რომ ადგილი აქვს საკითხების გადაკვეთას, რადგან პრაქტიკული კურსებში წარმოდგენილია ბევრი კომპლექსური საკითხი.

სასწავლო კურსის „იურიდიულ მეცნიერებათა ეთიკა“ შესახებ, მან განმარტა, რომ აღნიშნულ საგანს სხვადასხვა სახელწოდებით ხვდებიან სხვადასხვა სამართლის პროგრამაში, ზოგან ჰქვია - „იურიდიულ პროფესიათა ეთიკა“, „ეთიკა“ და სხვა, მაგრამ ვინაიდან სამართალი მეცნიერებაა და შესაბამისად ამ მეცნიერებიდან გამომდინარეობს მათი პროფესიებიც იქნება ეს სამოსამართლეო ეთიკა, საპროკურორო, საადვოკატო თუ სხვა, დაწესებულების წარმომადგენლებმა და სილაბუსის ავტორმა ჩათვალეს, რომ კურსი ამ სახელწოდებით ყოფილიყო წარმოდგენილი.

უნივერსიტეტის მიერ აკადემიური პერსონალისთვის კვლევითი აქტივობების ხელშეწყობასთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია შიდა საგრანტო პოლიტიკა და გარდა ამისა გააჩნია ჟურნალი, ამასთანავე ძალიან აქტიურად ატარებენ კონფერენციებს, ახლაც უნივერსიტეტის ვებ გვერდზე 3 დაანონსებული კონფერენციის შესახებაა ინფორმაცია განთავსებული. შესაბამისად ამ კომპონენტის განხორციელება უფრო აქტიური გახდება პროგრამის ამოქმედების შემდეგ.

პერსონალის ჩართულობასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ რა თქმა უნდა პროგრამა უნდა მომზადდეს შესაბამისი პერსონალის ჩართულობით, რადგან თუ ეს ასე არ არის, დარღვეულია 5.1 კომპონენტი, მისთვის გასაკვირიც კი იყო, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მოსაზრება, ვინაიდან დოკუმენტებით, ჩანაწერებით დასტურდება, რომ პერსონალი ჩართული იყო პროგრამის შემუშავების პროცესში და შესაბამისად, კონკრეტულად უნდა ითქვას თუ ვინ იყო ის პიროვნება, რომელმაც თქვა, რომ არ იყო ჩართული ამ პროცესებში.

უფლებამონაცვლეობასთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ თავიდან დაწესებულების სახელქოდება იყო განათლების აკადემია, შემდეგ რამდენჯერმე შეიცვალა სახელი, შემდეგი იყო New University, ახლა კი არის მილენიუმი და რა თქმა უნდა სახელწოდების ცვლილება და რეორგანიზაცია განხორციელდა ისე, როგორც ამას ითვალისწინებს კანონი მეწარმეთა შესახებ და სამოქალაქო კოდექსი, შესაბამისად უფლება მონაცვლეობის დროს, ყველა ის უფლება-მოვალეობა, რაც ჰქონდა წინა სუბიექტს, გადადის ახალ სუბიექტზე, მაგალითად, თუ ადამიანი შეიცვლის სახელსა და გვარს, მისი პირადი ნომერი რჩება იგივე და შესაბამისად არის ყველა იმ უფლება-მოვალეობის მატარებელი, რაც მანამდე გააჩნდა.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა უნდა აისახოს თუ არა შრომით ხელშეკრულებაში დამქირავებლის შეცვლილი სახელი.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ თუ კონტრაქტს არ გაუვიდა ვადა, შესაბამისად ის რელევანტურია და აგრძელებს უფლებამოსილებას, ამიტომ მისი სახელწოდების შეცვლა არსებითად არ ცვლის არაფერს, რადგან ახალი სახელწოდების მქონე ინსტიტუცია არის ძველის უფლება მონაცვლე, შესაბამისად ყველა ის ურთიერთობა, რომელიც დაიწყო ძველი სახელწოდებით გრძელდება ახალი სახელწოდების შემთხვევაშიც.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ნატალია ბარათელმა აფილირებულ პერსონალთან დაკავშირებით განაცხადა, რომ აფილირებულ პერსონალს დაწესებულება განსაკუთრებით უფრთხილდება, მითუმეტეს სამართლისა და რეგულირებადი პროგრამებისთვის რთულად მოსაპოვებელია აფილირებული პერსონალი, მათ სხვა დატვირთვა აქვს, ისინი ყველა სამეცნიერო ნაშრომს, პროდუქტს უშვებენ დაწესებულების სახით და ის „ბენეფიტები“ რაც იქნება, შიდა გრანტები, გამოქვეყნებები, კონფერენციაზე წასვლა, დაფინანსება და ა.შ. ეს მათთვის ხელმისაწვდომია. ასევე, ხელშეკრულებებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ დაწესებულების რეორგანიზაცია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას ცალსახად არ გულისხმობს.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ თვითშეფასების დოკუმენტში ასახული აფილირებული პერსონალის რაოდენობა არ ემთხვევა აფილირებულთა ხელშეკრულებების რაოდენობას, გაფორმებული უფრო მეტია და სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს დაეზუსტებინათ აღნიშნული საკითხი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნატალია ბარათელმა განმარტა, რომ 8 თვის განმავლობაში გამოცხადდა კიდევ ერთი კონკურსი, მოწვეულმა პერსონალმა მიიღო კონკურსში მონაწილეობა და გააფორმა აფილირების ხელშეკრულება, 8 თვის განმავლობაში განხორციელდა ცვლილებები.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, გოჩა თოდუამ, ბიუჯეტთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ მათ მიერ წარმოდგენილია როგორც მთლიანი, ასევე პროგრამის ბიუჯეტიც.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ მათთან გადაგზავნილია მხოლოდ მთლიანი ბიუჯეტი.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფინანსური გეგმა ცალკეა გაკეთებული და გადაგზავნილი.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული დაწერა ექსპერტთა ჯგუფმაც, ანუ არც მათ უნახავთ პროგრამის ბიუჯეტი, ხოლო, რაც თვითონ ნახა ეს იყო მთელი უნივერსიტეტის ბიუჯეტი.

ექსპერტმა, ილია წიკლაურმა, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ნახა დოკუმენტი, და შესაბამისი სტანდარტის შეფასებაც აღნიშნულ დოკუმენტს დაეფუძნა.

საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე, დაეთანხმა ექსპერტს და განმარტა, რომ წარდგენილია მთელი უნივერსიტეტის ბიუჯეტი, სწორედ ეს გამოიყენეს ექსპერტებმაც. ნახეს, მაგრამ კარგი იქნება, თუ პროგრამის ბიუჯეტი იქნებოდა.მაგრამ კარგი იქნებოდა თუ კი ცალკე პროგრამის ბიუჯეტიც ყოფილიყო წარმოდგენილი.

ექსპერტმა, ილია წიკლაურმა განაცხადა, რომ ამ ნაწილზე თვითონ გაამახვილა ყურადღება, მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ნახა ორი დოკუმენტი, ერთი დანართი №8, „სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური გეგმა (2021-2022 სასწავლო წელი)“, რომელიც დოკუმენტებში იყო მითითებული, ექსპერტთა ჯგუფისთვის აღნიშნული დოკუმენტი არ აღმოჩნდა საკმარისი, და დამატებით გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტი, რომელიც წარმოდგენილია შემდეგი სახელწოდებით „შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის ბიუჯეტი 2020-2021-2022 წლებისთვის“, მისი თქმით ეს დოკუმენტი ბიუჯეტის თვალსაზრისით არ შეიძლება ჩაითვალოს სრულყოფილად, რადგან ზედმეტად ზოგადია და მასში კონკრეტული რესურსები, რეალისტურობის თვალსაზრისით არ ჩანს, თუმცა აკრედიტაციის სტანდარტები ამბობს, რომ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს, რეალურად ექსპერტთა ჯგუფს არ აქვს უფლებამოსილება ბიუჯეტის შიდა აღრიცხვაში შევიდეს, რადგან პასუხი გაეცეს კითხვას მიღწევადია/არ არის

მიღწევადი. ამიტომ დასჭირდათ დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვა და გაიწერა რეკომენდაცია, რომ პროგრამა საჭიროებს უკეთესად გაფორმებულ ბიუჯეტს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ როდესაც იცვლება სახელწოდება ეს არ იწვევს ხელშეკრულებაში აუცილებელ ცვლილებას, უბრალოდ, ხდება ინფორმაციის მიწოდება მეორე მხარისთვის, რადგან მაიდენტიფიცირებელი მონაცემები რჩება იგივე.
საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა თუ რა ფორმით უნდა ხდებოდეს ინფორმაციის მიწოდება.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ შეტყობინების თვალსაზრისით, რაც მოიცავს კომუნიკაციას, თუმცა ამასთან დაკავშირებით რაიმე ტიპის აუცილებლობა არ არსებობს, რადგან თუ დასტურდება სახელის ცვლილების შესაბამისი დოკუმენტაციით, თავისთავად ნიშნავს იმას, რომ სამართალმემკვიდრეობის მიუხედავად ერთ სუბიექტზეა საუბარი და არანაირი მნიშვნელობა არ აქვს ხელშეკრულების ტიპს, ეს ვრცელდება მემორანდუმებზე, შრომით ხელშეკრულებებზე და ნებისმიერი ტიპის ორმხრივ/მრავალმხრივ დოკუმენტზე.
პერსონალის ჩართულობის შესახებ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს აქვს ხვადასხვა უნივერსიტეტის სამართლის პროგრამების შესწავლის გამოცდილება და ეს პროგრამა არ არის მათთვის ახალი. მისი თქმით მათ არ აქვთ პროგრამების/სილაბუსების ერთმანეთთან დადარების უფლება, რადგან მათ პროგრამა უნდა შეაფასონ უშუალოდ წარდგენილი პროგრამის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის ფარგლებში. ვიზიტის დროს ამ საკითხთან დაკავშირებით წარმოიშვა კითხვების დასმის აუცილებლობა კონკრეტული საგნების ავტორებთან. რადგან იგრძნობოდა, რომ შეიძლება ყოფილიყო გარკვეული მსგავსებები სხვა პროგრამებში არსებულ სილაბუსებთან, გასაუბრების დროს მათმა ნაწილმა განაცხადა იმის შესახებ, რომ დაწესებულებისგან მიეწოდათ სილაბუსები და მათი აქტიურ ჩართვას სილაბუსის შემუშავების პროცესში ადგილი არ ჰქონია და მათ განახორციელეს მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებები.
ექსპერტმა, ილია წიკლაურმა, შრომითი ხელშეკრულებების განსხვავებასთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ მათ ნახეს სანიმუშო ხელშეკრულებები, სადაც აფილირების ხელშეკრულებაში მითითებული იყო ვალდებულებები, საათობრივი თვალსაზრისით, რადგან როდესაც პედაგოგი მოწვეულია, ვერ სთხოვენ სხვაგან არ წაიკითხოს ლექცია, აფილირების შემთხვევაში კი განსაზღვრული იყო საათობრივი ლიმიტები, ასე რომ ეს ალბათ ერთ-ერთი ძირითადი საგანია, როდესაც აფილირებულ პერსონალს უნივერსიტეტი სთხოვს, რომ საათობრივი თვალსაზრისით მასზე მეტი ყურადღება გაამახვილოს. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფს არ შეუსწავლია ხელშეკრულებები, რადგან, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, თითოეულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულებები აღარ გამოუთხოვიათ და მხოლოდ სანიმუშო ხელშეკრულებებით დაკმაყოფილდნენ, როგორც ყველა სხვა აკრედიტაციის შემთხვევაში.
ნატალია ბარათელმა აღნიშნა, რომ როგორც ცნობილია 2019 წელს პროგრამამ ვერ გაიარა რეაკრედიტაცია, დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია და რჩევა შეასრულა რაც პროგრამისთვის განისაზღვრა გარე შეფასების შედეგად.

17:19 საათზე საბჭო დატოვა ეკატერინე ნაცვლიშვილმა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:20
დასრულების დრო: 19:08

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი

არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ პირველი და მე - 3 სტანდარტები, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტადარტის მოთხოვნებთან“. საბჭომ რამდენიმე რეკომენდაცია დაამატა/ამოიღო/გადაიტანა რჩევებში, ასევე რამდენიმე რეკომენდაციას შეუცვალა ფორმულირება.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1.მიზანშეწონილია, განხორციელდეს თანამედროვე შრომის ბაზრის შედარებით დეტალური ანალიზი ბაზარზე არსებულ მოთხოვნებსა და გამოწვევებზე;
2. მიზანშეწონილია, სასწავლებლის მიერ შემუშავდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების იმგვარი დოკუმენტი, რომელიც სათანადოდ ასახავს აღნიშნული პროცესის წარმართვას, პირდაპირი და არაპირდაპირი გაზომვის მეთოდებისა და პროგრამის გასაუმჯობესებლად მისი შედეგების გამოყენების ასპექტებს;
3. მიზანშეწონილია, პროგრამის შემუშავება/განვითარებაში აქტიურად იყოს ჩართული სხვადასხვა დაინტერესებული მხარე, მათ შორის აკადემიური/მოწვეული პერსონალი და სტუდენტები;
4. რეკომენდირებულია პრაქტიკის კურსებში „საჯარო სამართლის პარქტიკული კურსი, „ სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი“, სამოქალაქო სამართლის პარქტიკული კურსი“ გადაიხედოს შემდგომში გადაფარვის აღმოფხვრის მიზნით;
5. რეკომედირებულია სასწავლო კურსში „იურიდიული მეცნიერებათა ეთიკა“ სათაური და შინაარსი შესაბამისობაში მოვიდე ერთმანეთთან;
6. მიზანშეწონილია, გაძლიერდეს უსდ-ის მუშაობა პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი აქტივობის მიმართულებით, კერძოდ, საჭიროა დაწესებულებამ იზრუნოს და წაახალისოს აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო კვლევების განხორციელება;
7. მიზანშეწონილია, აკადემიური პერსონალი იყოს სამეცნიერო (კვლევების წარმოების, კონფერენციებში მონაწილეობის და სამეცნიერი ნაშრომების გამოქვეყნების) მიმართულებით სათანადოდ აქტიური;
8. მიზანშეწონილია, მეტი მატერიალური და ფინანსური რესურსი გამოიყოს პროგრამის ბიუჯეტიდან აკადემიური პერსონალის სამეცნიერო განვითარების მიზნით;
9. რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა;
10. რეკომენდირებულია პროგრამისა და სასწავლო კურსების შემუშავებსა და განვითარების პროცესში უზრუნველყოფილ იქნას აკადემიური პერსონალის ჩართულობა;
11. რეკომენდირებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად;
12. მიზანშეწონილია, პროგრამის განვითარებისთვის ჩატარდეს პრობლემებზე ორიენტირებული კვლევები, რომლებიც სრულყოფილად ასახავს საჭიროებებს; ამისთვის საჭიროა ხარისხის სამსახურის აქტიური თანამშრომლობა პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და ადმინისტრაციასთან;
13. რეკომენდირებულია, მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან;

რჩევები:

1. სასურველია, სასწავლებელმა შეიმუშაოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც ასახავს უშუალოდ პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს;
2. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სტრუქტურირება ეფუძნება სავალდებულო კომპონენტზე აქცენტირებას, რომლის დროსაც არ ხდება არჩევითი კურსების რაოდენობრივი დატვირთვა, სასურველია, არჩევითი საგნების აღნიშნული მოდული გაფართოვდეს და მასში განხორციელდეს იმგვარი არჩევითი სასწავლო კურსების ინტეგრირება, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალურია შრომის ბაზარზე და განიცდის შესაბამისი კვალიფიკაციის იურისტების ნაკლებობას. „გაფართოება“ გულისხმობს არჩევითი სასწავლო კურსების არა რაოდენობრივად არსებითად გაზრდას და გამრავალფეროვნებას, არამედ ვიწრო სპეციალიზაციის დისციპლინების სტუდენტებისათვის შეთავაზებას, მათი დაინტერესების შემთხვევაში, შეიძინონ ცოდნა შესაბამისი მიმართულებით;
3. სასურველია, სასწავლებელმა გააფართოვოს კურიკულუმის გარე აქტივობები და მეტად უზრუნველყოს სტუდენტების დაინტერესება ამგვარ ღონისძიებებსა თუ პროგრამებში მათი აქტიური ჩართვის მიზნით;
4. სასურველია, სასწავლო კურსის სილაბუსებში, სასწავლო კურსის კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე, განისაზღვროს სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული სხვადასხვა აქტივობები;
5. სასურველია, დაწესებულებამ დახვეწოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც გაითვალისწინებს დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა მაჩვენებლის გამოვლენას და ამ მაჩვენებლის გათვალისწინებით დაგეგმავს შესაბამისი აკადემიური მხარდაჭერის აქტივობებს (ტუტორინგი, სასემინარო მუშაობის მოცულობის ზრდა, სპეციფიკური წერითი თუ კვლევითი უნარების განმავითარებელი კომპონენტების გაძლიერება და სხვა);
6. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები (სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამა, დაწესებულების ვებგვერდი), რომელიც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას მიიღონ ინფორმაცია დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის - კურიკულუმის ფარგლებში თუ კურიკულუმს ფარგლებს გარეთ - არსებული სიახლეების, მათ შორის, სამეცნიერო კონფერენციების თუ გაცვლითი პროგრამების შესახებ, სტუდენტების ინფორმირების და აქტივობის მაჩვენებელი დაბალია. სასურველია დაწესებულებამ გააუმჯობესოს და დანერგოს სტუდენტთა ინფორმირების ეფექტური მექანიზმი - დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის, კურიკულუმის ფარგლებში თუ კურიკულუმს ფარგლებს გარეთ არსებული სიახლეების შესახებ, მათ შორის, სამეცნიერო კონფერენციებსა თუ გაცვლით პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობის მიზნით დანერგოს წამახალისებელი მექანიზმები და უზრუნველყოს როგორც დაწესებულების, ასევე, სხვა სამეცნიერო აქტივობების შესახებ სტუდენტების დროული და ეფექტური ინფორმირება;
7. სასურველია დაწესებულების მიერ მოხდეს სტუდენტთა სრულყოფილი ინფორმირება სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 3^1 პუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი

პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა 4 წლის ვადით აკრედიტაცია, 2021 წლის 31 დეკემბრამდე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების პირობით.
საბჭომ განსაზღვრა მონიტორინგის ფარგლები - პირველი, მეორე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტები, ასევე მონიტორინგის დროს განსაკუთრებული აქცენტი უნდა გამახვილდეს აკადემიური პერსონალის ჩართულობაზე სასწავლო პროცესში.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2021 წლის 30 ივლისს 19:10 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ